თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა

(საზოგადოებრივი აზრის ლიდერთა კვლევა - თვისებრივი კომპონენტი)

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო

ნაწილი 1. შესავალი

მისალმება

მადლობის გადახდა პროექტში მონაწილეობის თანხმობაზე
პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება
რამდენ ხანს გაგრძელდება ჩაღრმავებული ინტერვიუ
ჩამწერი აპარატურის (დიქტოფონის) დანიშნულების ახსნა

რესპონდენტის მოკლე წარდგენა

- სახელი, სამუშაო სფერო / დაკავებული თანამდებობა, ორგანიზაცია, რამდენი ხანია რაც ამ პოზიციაზე მუშაობს

ნაწილი 2: ზოგადი დამოკიდებულებები და აღქმები უმაღლესი განათლების სფეროსადმი

- გთხოვთ, ზოგადად დაახასიათოთ უმაღლესი განათლების სფერო:
  - რა შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი განათლების სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებად?
  - რა არის ის, რაც ნაკლებად მოგწონთ ამ სფეროში?
- ზოგადად, რა როლი ეკისრება უმაღლესი განათლების სფეროს ქვეყნის განვითარების მიმართულებით?
- თუ ვიმსჯელებთ დღევანდელი მდგომარეობით, რა გავლენას (პოზიტიურს / ნეგატიურს) ახდენს ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფოს / სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე?

- გთხოვთ, ახლა ძალიან კონკრეტული პასუხი გამცეთ და დაასახელოთ 3 უნივერსიტეტი, რომელსაც, ამ ეტაპზე, საუკეთესოდ მიიჩნევთ საქართველოში.

[მითითება ინტერვიუერს: აუცილებლად დაასახელებინეთ კონკრეტულად 3 უმაღლესი სასწავლებელი და შემდეგ ჩაეძიეთ თითოეულ მათგანზე]

  - რა განსაზღვრავს მათ წარმატებულობას? რა მახასიათებლების / ფაქტორების გამო თვლით, რომ სწორედ ეს უნივერსიტეტები შეიძლება ჩავთვალოთ დღესდღეობით საუკეთესო უნივერსიტეტებად საქართველოში?
  - *[მითითება ინტერვიუერს: ეს კითხვა დაუსვით ყველა პოტენციურ დამსაქმებელს]* თქვენთვის, როგორც დამსაქმებლისთვის, რომელი უნივერსიტეტის დიპლომი არის გამოკვეთილი მოტივატორი კადრის აყვანისას? რატომ?

- გარდა დასახელებული მახასიათებლებისა, თქვენი აზრით, კიდევ რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს კარგ / იდეალურ უნივერსიტეტს?

[მითითება ინტერვიუერს: ჩაეიძიეთ, რომ მაქსიმალურად მეტი მახასიათებელი იქნას დასახელებული]

- კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ძალიან საინტერესოა თქვენი აზრის მოსმენა. როგორ ფიქრობთ, განსხვავდებიან თუ არა საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები ერთმანეთისგან?
    - თუ დიახ: კონკრეტულად რა ნიშნით. რა არის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლბლების უპირატესობა კერძოსთან მიმართებაში და პირიქით?
    - თქვენი აზრით, რატომ ირჩევენ დღესდღეობით სტუდენტები სახელმწიფო და არა კერძო უნივერსიტეტებს?
    - რა არის ის მოტივები, რის გამოც ისინი ირჩევენ სახელმწიფო უნივერსიტეტს?
    - რა არის ის მოტივები, რის გამოც ისინი ირჩევენ კერძო უნივერსიტეტს?
    - თუ არსებობს რაიმე სხვა არჩევანიც?

ნაწილი 3: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი კონკურენტების[1] არსებული იმიჯის შესწავლა

ახლა მინდა ცოტა უფრო დეტალურად ვისაუბროთ კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელზე. ჩვენი კვლევითი მიდგომის მიხედვით, რაც გამოწვეულია რესპონდენტის დროის დაზოგვის მიზნით, თითოეულ რესპონდენტთან ვსაუბრობთ მხოლოდ 2 უმაღლეს სასწავლებელზე. შემთხვევითი განაწილების მიხედვით თქვენთან ვისაუბრებთ შემდეგ უნივერსიტეტებზე

(მითითება ინტერვიუერს: რესპონდენტს ესაუბრებით თსუ-ს და წინასწარ განსაზღვრული ერთი კონკრეტული უნივერსიტეტის შესახებ. თითოეულთან დაკავშირებით ცალ -ცალკე გადიხართ შემდეგ ნაწილს)

- **თავისუფალი ასოციაცია:** რა აზრი მოგდით თავში როდესაც ვამბობ ..... (უნივერსიტეტის სახელი)? გთხოვთ არ შეიზღუდოთ აზრებში: დამისახელეთ ყველა წარმოდგენა, ასოციაცია, აზრი ?
- **პერსონიფიკაცია:** ეს უნივერსიტეტი რომ გადაიქცეს ადამიანად, როგორ ფიქრობთ, როგორი ადამიანი იქნებოდა ის? ვინ იქნებოდა ის? გთხოვთ, აღმიწეროთ ეს

[1] *განმარტება: საზოგადოებრივი აზრის ლიდერთა კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მოხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უმაღლესი განათლების სექტორის მნიშვნელოვანი სუბიექტების - ილიას უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის აღქმული იმიჯების კვლევა. სეგმენტის ელიტურობიდან გამომდინარე (მათი დროის დეფიციტის გათვალისწინებით) თითოეულ რესპონდენტთან მოხდება თსუ-ს და ჩამოთვლილი უნივერსიტეტებიდან ერთ-ერთის (როტაციის პრინციპით) იმიჯის დეტალური შესწავლა. დაგეგმილი 20 ინტერვიუს შედეგად გვექნება ყველა რესპონდენტის სიღრმისეული დამოკიდებულება და შეფასებები თსუ-თან მიმართებაში და ასევე კონკურენტი უმაღლესი სასწავლებლების შესახებ არსებული აღქმები თანაბრად გადანაწილებული გამოსაკითხი სეგმენტის (ბიზნეს-ელიტა, პოლიტ-ელიტა, აკადემიური ელიტა, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები) მიხედვით*

ადამიანი: რომელი 5 ზედსართავით აღწერდით მის პიროვნებას. ეს ადამიანი იქნებოდა (როგორი) .....

- [თუ საუბარია სახელმწიფო უნივერსიტეტზე] როგორი იყოს ეს ადამიანი პირობითად 15-20 წლის წინ ...
- როგორი იქნება ეს ადამიანი თქვენი აზრით 10-15 წლის შემდეგ ...

[თუ საუკეთესო უნივერსიტეტებში არ ყოფილა დასახელებული ამ კითხვაზე პასუხს ისმენთ დეტალურად, თუ უკვე დასახელებული იყო, როგორც ერთ-ერთი 3 საუკეთესოდან, რეზიუმირებულად იმეორებთ რესპონდენტის მიერ გამოთქმულ პოზიტიურ მახასიათებლებს და ეძიებით კიდევ რამეს ხომ არ დაამატებდა ამ უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებთან მიმართებაში)

- როგორ ფიქრობთ, რა არის ამ უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი მხარეები? უპირატესობები?
    - რატომ ფიქრობთ ასე? რა გარემოებებმა / კონკრეტულმა ფაქტორებმა ჩამოგიყალიბათ ასეთი დამოკიდებულება ..... მიმართ?
- მოდით ახლა მის დასახვეწ მხარეებზეც ვისაუბროთ. რა არის ამ უნივერსიტეტის ნაკლოვენებები?
    - რატომ ფიქრობთ ასე? გთხოვთ, მითხრათ კონკრეტული არგუმენტები

- მოდით ვისუაბროთ ადამიანებზე, რომლებიც ამ სასწავლებელში სწავლობენ: თქვენი აზრით რა კატეგორიის სტუდენტები სწავლობენ ძირითადად .....ში და რატომ ჩააბარეს იქ?
    - სიღრმისეული ცოდნის მიღების გამო
    - უბრალოდ დიპლომის გამო
    - სასწავლებლის პრესტიჟულობის გამო
    - გარანტირებული სამსახურის გამო
    - სხვა

- შეგიძლიათ თუ არა გამოყოთ კონკრეტული მიმართულებები / პროფესიები, რომელიც ამ უნივერსიტეტის გამორჩეულ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს? რა მიმართულებით უშვებს ყველაზე კარგ პროფესიონალებს / კონკურენტულ კადრებს? რა გაძლევთ ასე ფიქრის საშუალებას?
    - როდესაც თქვენ თავად გიწევთ გადაწყვეტილების მიღება, არის თუ არა ადამიანის სამუშაოზე მიღებისას განმასზღვრელი, რომ ის ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია?
    - თუ დიახ: დადებითი თუ უარყოფითი ნიშნით?

- მოდით, ახლა რამდენიმე სიტყვით ვისაუბროთ უნივერსიტეტის რექტორზეც. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს უნიევრსიტეტის რექტორი? მოდი, ჩამოვთვალოთ ყველა ის მნიშვნელოვანი თვისება / უნარი, რაც უნდა ახასიათებდეს თსუ-ს რექტორს? რატომ ფიქრობთ ასე?

- მოდით, ახლა ვისაუბროთ ამ უმაღლეს სასწავლებელზე (თსუ-ს შემთხვევაში) როგორც კვლევით ინსტიტუტზე. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რა ხდება ამ მიმართულებით? როგორ შეაფასებდით არსებულ ვითარებას?
- ზოგადად, რა გავლენას ახდენს თქვენს დამოკიდებულებებზე ის ფაქტი, რომ ეს უნივერსიტეტი არა მხოლოდ უმაღლესი განათლების დაწესებულებაა, არამედ კვლევითი ინსტიტუტიც?
- როგორ ფიქრობთ, სამომავლოდ უნდა იყოს თუ არა პრიორიტეტული ამ მიმართულების განვითარება? რატომ ფიქრობთ ასე?

- და ბოლო კითხვა ამ უნივერსიტეტთან დაკავშირებით - გთხოვთ მითხრათ, რა ცვლილებები უნდა განახორციელოს ამ უმაღლესმა სასწავლებელმა რომ მან შეინარჩუნოს ან მოიპოვოს ლიდერობა უმაღლესი განათლების სექტორში?

ნაწილი 4: ახალი იდეის ტესტირება - კურსდამთავრებულთა ფონდის შექმნა

- და ჩვენი შეხვედრის ბოლოს მინდა კიდევ ერთ თემასთან დაკავშირებით მოვისმინო თქვენი შეფასებები. რას ფიქრობთ, ქართულ უნივერსიტეტებში, პირობითად თსუ-ში კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო ფონდის შექმნის იდეაზე, სადაც თსუ-ს ყველა კურსდამთავრებულს საშუალება ექნება შეიტანოს თავისი წვლილი უნივერსიტეტის განვითარების საქმეში
- რას ფიქრობთ ამ იდეაზე? როგორ შეაფასებდით ახალ იდეას?
- გთხოვთ, მითხრათ ფონდის დაარსების შემთხვევაში, რა პრიორიტეტები უნდა განისაზღროს, რაშიც დაიხარჯება შემოსული ფულადი რესურსი? რატომ არის ეს მიმართულებები ყველაზე მნიშვნელოვანი?
- ასევე, კურსდამთავრებულთა მიერ გაწეული რა ტიპის დახმარება (არაფულადი რესურსი) შეიძლება იყოს ოპტიმალური თსუ-თვის და მისი სტუდენტებისთვის?

- თქვენ თავად თუ გაგიჩნდებოდათ სურვილი, რომ გამხდარიყავით იმ უნივერსიტეტის კურსადამთავრებულთა ფონდის წევრი, რომელიც თქვენ დაასრულეთ? რა იქნებოდა თქვენი მთავარი ემოციური, რაციონალური მოტივი რის გამოც ასეთ ნაბიჯს გადადგამდით?

ნაწილი 5: თსუ-ს ბრენდ ატრიბუტიკის აღქმა (გერბი, საკომუნიკაციო ფერი) და მასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები

(მითითება ინტერვიუერს: ბრენდ ატრიბუტიკის ბლოკზე ესაუბრებით მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ რესპონდენტებს)

- გთხოვთ, მითხართ გახსოვთ თუ არა თსუ-ს გერბი?
    - (თუ დიახ) გთხოვთ, მითხართ რას ფიქრობთ მასზე? რა არის ის, რაც პირველად გახსენდებათ თსუ-ს გერბის წარმოდგენისას (ასოციაციები, ემოციები, დამოკიდებულებები)

[მითითება ინტერვიუერს: რესპონდენტს აჩვენებთ თსუ-ს გერბს, ფერად ვერსიას, სადაც ზუსტად იკვეთება თსუ-ს საკომუნიკაციო ფერიც)

- რას გამოხატავს თსუ-ს გერბი? რა არის მისი მთავარი გზავნილი? რაზე დაყრდნობით გიჩნდებათ ასეთი მოსაზრებები?
- არის თუ არა თქვენი აზრით არსებული გერბი მკაფიოდ, ნათლად, თავისუფლად აღქმადი, ცნობადი თსუ-თან უშუალო კავშირის მქონე სეგმენტებისთვის? ზოგადად ქართული საზოგადოებისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
- გთხოვთ მითხრათ, შეეფერება თუ არა ეს გერბი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (პირველი უნივერსიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის სიმბოლო)? (რატომ კი? რატომ არა?)
- თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად გამოსახავს ის თსუ-ს არსს, მთავარ გზავნილს, საზოგადოებისადმი, სტუდენტებისადმი?
- გთხოვთ, მითხრათ რას ფიქრობთ საკომუნიკაციო ფერზე?
- მოგწონთ თუ არა ეს ფერი?
- შეესაბამება თუ არა ეს ფერი უმაღლესი განათლების დაწესებულებას? კერძოდ, თსუ-ს? მის ამჟამინდელ გერბს? (რატომ კი? რატომ არა?)
- ხომ არ შეცვლიდით, რა ფერით შეცვლიდით?
- თქვენი აზრით თსუ გერბი არის ოპტიმალური – საუკეთესო ვარიანტი, გადატვირთული– საჭიროა გამარტივება, საჭიროა მისი დახვეწა?
- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდით თსუ-ს გერბში (ფიგურები, მათი რაოდენობა, კომპოზიცია), ? (რატომ? - კონკრეტული არგუმენტები)

- თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ის მთავარი გზავნილი, რაზე უნდა აკეთებდეს თსუ აქცენტს საზოგადოებასთან კომუნიკაციისას?

- და ბოლო კითხვა ამ თემასთან დაკავშირებით, კიდევ რა ელემენტები უნდა დაემატოს თსუ – თსუ-ს ბრენდ ატრიბუტიკას(მაგალითად სლოგანი, ჰიმნი, დროშა და ა.შ.)

(მითითება ინტერვიუერს: ინტერვიუს ბოლოს რესპონდენტს საშუალება მიეცით გამოთქვას თემასთან დაკავშირებული საკუთარი მოსაზრება, რომლის გამოხატვაც არსებული კითხვების ფარგლებში ვერ მოახერხა)

- საუბრის დასასრულს, ხომ არ გნებავთ რაიმე მოსაზრების გამოთქმა, საკითხის ინიცირება, რაზეც ჩვენი შეხვედრის განმავლობაში დასმული კითხვებიდან გამომდინარე არ მოგეცათ საშუალება?

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის!